

ეკოლოგიური დაზვერვა, როგორც სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების
იარაღი და მისი ზეგავლენა სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე

DOI: <https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.01>

ანა ჯიქია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ana.jikia@ciu.edu.ge

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0008-0420-0292>

მზევინარ გურული-კუხალაშვილი

აგროეკოლოგიის დოქტორი

mzevinargurulikukhalashvili@gmail.com

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0007-8002-7658>

დავით კუხალაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

davit_kukhalashvili@ciu.edu.ge

ORCID ID: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

აბსტრაქტი

თანამედროვე ეპოქაში კორპორაციული ჯამუშობა განსაკუთრებით აქტუალური ხდება იმ კომპანიებისთვის, რომლებიც მუშაობენ გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების, ინოვაციური ეკოლოგიური სტრატეგიების ან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების სფეროში. ამ სექტორისადმი მზარდი ინტერესი განპირობებულია როგორც ეკონომიკური ფაქტორებით – მათ შორის ახალი ბაზრების ათვისების ან კონკურენტების უპირატესობის გაქარწყლების სურვილით – ასევე გეოპოლიტიკური მოტივებით. ეკოლოგიური ინოვაციები ხშირად აკავშირებს ენერგეტიკულ პოლიტიკას, საერთაშორისო ვალდებულებებს და გარემოსდაცვით რეგულაციებს. შესაბამისად, კომპანიები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირებაში, ხშირად ხდებიან როგორც მსხვილი კონკურენტული კორპორაციების, ისე უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო ინტერესების სამიზნე.

შესაბამისად, კორპორაციული ჯაშუშობის ეკოლოგიური განზომილება გადაჯაჭვულია როგორც კერძო, ისე საჯარო პოლიტიკურ ინტერესებთან და მისი მნიშვნელობა ცალსახად სცდება მხოლოდ კორპორაციული ზიანის მიყენებას.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება, პოლიტიკური უსაფრთხოება, დაზვერვა, ჯაშუშობა.

Ecological Intelligence as a Tool of State and Non-state Actors and its Impact on the Political Security of the State

Ana Jikia

Caucasus International University

PhD Student

ana.jikia@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0008-0420-0292>

Mzevinar Guruli-Kukhalashvili

PhD in Agroecology

mzevinargurulikukhalashvili@gmail.com

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0007-8002-7658>

David Kukhalashvili

Caucasus International University

Associate Professor

davit_kukhalashvili@ciu.edu.ge

ORCID iD: <https://orcid.org/0009-0006-8249-296X>

Abstract

In the modern era, corporate espionage has become particularly relevant for companies engaged in environmental technologies, innovative ecological strategies, and climate change-related policymaking. The growing interest in this sector is driven by both economic factors, such as the desire to penetrate new markets or neutralize competitors' advantages, and geopolitical motives, as environmental innovations are increasingly intertwined with energy policy, international obligations, and environmental regulations. As a result, companies

involved in shaping global environmental policy often become targets of not only major corporate competitors but also foreign intelligence services.

Thus, the ecological dimension of corporate espionage is deeply connected to both private and public political interests, and its significance extends beyond the infliction of corporate damage.

Keywords: National security, ecological security, political security, intelligence, espionage.

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში კორპორაციული ჯაშუშობა ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. კომპანიები, რომლებიც სხვადასხვა ტექნოლოგიურ სიახლეებზე მუშაობენ, ასევე გარემოსდაცვით საკითხებს უწევენ ადვოკატირებას, უფრო მეტად ხდებიან კონკურენტებისა და უცხო სახელმწიფო აქტორების სამიზნე ობიექტები. ასეთ დროს დაინტერესებული ქვეყნების მხრიდან სამიზნე სახელმწიფოში განხორციელებული ჯაშუშობის შედეგები გავლენას ახდენს არა მხოლოდ კორპორაციულ ინტერესებსზე, არამედ ეროვნულ და გლობალურ გარემოსდაცვით პოლიტიკაზეც. შესაბამისად, სქემის „კორპორაციული ჯაშუშობა + სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ჯაშუშობა“ სახელმწიფოს ეკოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკურ ინტერესების საერთაშორისო ასპარეზზე გავრცობის საშუალებას იძლევა.

კორპორაციული ჯაშუშობა, მათ შორის, სადაზვერვო ქოლგის ქვეშ, სამიზნე ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების სექტორში, როგორც წესი, ფოკუსირებულია რამდენიმე კრიტიკულ სფეროზე:

- ☞ ტექნოლოგიური ინოვაციები: კომპანიები, რომლებიც ავითარებენ ახალ, როგორც ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფ, ისე დამაზიანებებელ გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს.

როგორც კორპორაციულ, ისე მზვერავი ქვეყნის სადაზვერვო საქმიანობის ინტერესს შესაძლოა წარმოადგენდეს ამ ტიპის ინოვაციების შესახებ ინფორმაციის შეკრება კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად ან სამიზნე ქვეყნის ბაზრის პროგრესის შეფერხება ეკონომიკური დივერსიის კონტექსტში.

☞ რესურსების მართვის სტრატეგიები: კომპანიები, რომლებიც გამოირჩევიან სტრატეგიული ხასიათის ბუნებრივი რესურსების (წყალი, ნედლეული, ენერჯია) მდგრადი მართვის ეფექტიანი მეთოდებით, შეიძლება გახდნენ კორპორაციული ჯაშუშობის სამიზნე.

კონკურენტებს შესაძლოა სურდეთ არა მარტო ამ სტრატეგიების შესახებ ინფორმაციის ფლობა, არამედ მისი მოპარვაც კი. ამ ქმედების მიზანია სამიზნე ქვეყნის ან კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობის შეფერხება, ასევე სხვის ხარჯზე, ნაკლები დანახარჯებით მნიშვნელოვანი სარგებლის მიღება.

☞ ეკოლოგიური რეგულაციების შესაბამისად ადაპტაციის პრაქტიკა: ორგანიზაციები, რომლებიც ახერხებენ მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების შესრულებას ხარჯების მინიმალიზაციით.

ასეთი ტიპის პრგანიზაციები შეიძლება აღმოჩნდნენ დაინტერესებულ სახელმწიფო ან არასახელმწიფო აქტორების სამიზნე წყაროები, რომლებიც ცდილობენ გაიგონ, როგორ მიიღეს აღნიშნული ეფექტი - ფინანსური მოდელებიდან ტექნიკური ოპერაციების ჩათვლით.

☞ სერტიფიცირების სისტემები და მათი მოპოვების გზები: მსოფლიო ბაზარზე გარემოსდაცვითი სერტიფიკატების ფლობა (მაგ. ISO 14001, EMAS, LEED) ხშირად წინაპირობაა პარტნიორობისთვის, დაფინანსებისთვის ან პროდუქციის რეალიზებისთვის.

კორპორაციული ჯაშუშობა შეიძლება მიზნად ისახავდეს ამ სერტიფიკატების მიღების პირობების, სტანდარტების ინტერნალური მექანიზმების, ან შესაძლო სისუსტეების იდენტიფიცირებას, სათანადო ხასიათის დამაზიანებელი ქმედებების ორგანიზებისათვის.

☞ გარემოსდაცვითი მონაცემთა ბაზები და მეთოდოლოგიები: ინსტიტუტები, რომლებიც აგროვებენ ანალიტიკურ ინფორმაციას გარემოზე (მაგ. ჰაერის ან წყლის დაბინძურების მაჩვენებლები, კლიმატის პროგნოზები), შესაძლოა გახდნენ სამიზნე. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს მონაცემები უკავშირდება კრიტიკულ ინფრასტრუქტურას ან სტრატეგიულ რეგიონებს. ინფორმაციის მოპოვება ან მისი დამახინჯება შესაძლოა გამოყენებულ იქნას, პოლიტიკური ან ეკონომიკური ხასიათის დივერსიის მოსაწყობად.

სადაზვერვო სამსახურები განსაკუთრებული აქტიურობით აკვირდებიან სამიზნე ქვეყნის გარემოსდაცვითი ინიციატივების დაფინანსების წყაროებს. ამ კონტექსტში

შესაძლოა სამიზნეებს წარმოადგენდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო სტრუქტურები და სხვა აქტორები, რომლებიც აფინანსებენ ეკოპროექტებს. შესწავლის მიმართულებას კი – მათი მიზნები, პარტნიორები, შიდა და გარე ფინანსური პოლიტიკა, კავშირები საკუთარი ან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან და სხვა მსგავსი ასპექტები.

ძირითადი ნაწილი

კორპორაციული ჯაშუშობა ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით დღითიდღე უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევა ხდება. ეს ეხება იმ კომპანიებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც მდგრადი განვითარების სფეროში მოღვაწეობენ. ამ სფეროში შემუშავებული ინოვაციები ხშირად წარმოადგენს როგორც ეკონომიკური კონკურენციის, ისე პოლიტიკური მიზნების განხორციელების სამიზნე ობიექტს. შესაბამისად, ეკოლოგიური დაზვერვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ დაზვერვასთან ერთად სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.¹ შესაბამისად, მზვერავი სახელმწიფოები დაზვერვის ობიექტ სახელმწიფოში ეკოლოგიური დაზვერვის ობიექტებსაც შეისწავლიან.²

ეკოლოგიური პრობლემების გლობალიზაცია და კლიმატური რისკების ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის სახელმწიფოების მხრიდან, სადაზვერვო საქმიანობით, სამიზნე სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მეშვეობით ანალიტიკური, საფრთხის მაიდენტიფიცირებელი ეკოლოგიური მონაცემების, რესურსებისა და სტრატეგიების და სხვ. შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. მზვერავი სახელმწიფოებისთვის ეკოლოგიური დაზვერვის ფარგლებში მნიშვნელოვანია შემდეგი ტიპის ინფორმაციის მოპოვება³:

- ☞ სამიზნე ქვეყანაში ქიმიური, ბიოლოგიური ან სხვა სახის იარაღის გამოცდისა და მათი გავრცელების შესახებ;
- ☞ საშიში ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების სტრატეგიების, მათ შორის ბიოქიმიური კვლევების პროექტების შესახებ;
- ☞ სტრატეგიული ობიექტების (ნავთობის მილსადენების, ენერგოსისტემების) მოწყვლადობის შესახებ;
- ☞ რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის ან დამარხვის ადგილების შესახებ;
- ☞ ეპიდემიოლოგიური ვითარების, ჯანდაცვის სისტემის მოწყვლადობის შესახებ;

¹ ენდელაძე, თ. საგარეო დაზვერვის ობიექტები, თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი. 2007.

² კუხალაშვილი, დ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში, თბილისი.2020

³ კუხალაშვილი, დ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში. თბილისი.2020

☞ სამიზნე ქვეყნებში პოლიტიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრების განწყობების, კორუმპირებულობის შესახებ და სხვ.;

ზემოგამოთქმული მოსაზრებების გამყარების შესაძლებლობას იძლევა ღია წყაროებში არსებული მონაცემები ანალიზი, რომლებიც წარმოდგენილია შემთხვევების სახით:

შემთხვევა I. ღია წყაროში არსებული ინფორმაციით, 2020 წელს „ტესლამ“ სარჩელი შეიტანა მისი უშუალო კონკურენტის „რივანის“ წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ რივანი ჩაერთო კორპორატიულ ჯაშუშობაში Tesla-ს თანამშრომლების გადაბირებით, რათა მიეღო სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის „ტესლას“ ელექტროაკუმულატორების და ელექტრო ავტომობილების ტექნოლოგიასთან დაკავშირებით.⁴ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე კომპანია ქმნის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. შესაბამისად, ის შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური ხასიათის სადაზვერვო შეღწევადობის ობიექტს. გარდა იმისა, რომ ნათელია კორპორაციების ჯაშუშობის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება, კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში სახეზეა იდენტიფიცირებული მოწყვლადობა, რაც დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების მხრიდან მნიშვნელოვანი დამაზიანებელი პროცესების, მათ შორის, საბოტაჟის, ტერორისტული აქტის და სხვ. განხორციელების ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს.

შემთხვევა II. ღია წყაროში არსებული ინფორმაციით, Volkswagen-ის ე.წ. დიზელის საწვავის სკანდალი 2015 წლის 19 სექტემბერს აგორდა.⁵ გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანია Volkswagen-ში გამონაბოლქვზე ჩატარებული ტესტის პასუხები გააყალბეს, რაც გერმანიის ხელისუფლებისათვისაც იყო ცნობილი. მაშინ ამ საკითხზე, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელიც დაიკითხა. გერმანულმა ავტოკონცერნმა Volkswagen-მა მავნე ნარჩენებთან დაკავშირებული სკანდალის გამო დამატებით 2,5 მილიარდი ევროს გამოყოფის შესახებ განცხადება გააკეთა. ამით მისმა ხარჯებმა დიზელის სკანდალის გამო ჯამში 25 მილიარდი ევრო შეადგინა. შესაბამისად, პროცესი შესაძლოა წარმოადგენდა, როგორც ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური ხასიათის სადაზვერვო შეღწევადობის შედეგს, მათ შორის სადაზვერვო პროპაგანდის თვალსაზრისით.

⁴ Kolodny, Lora. "Tesla Sues Rivian, Claiming It Poached Employees and Stole Trade Secrets." *CNBC*, 2020.

⁵ "დიზელის სკანდალი." *Imedinews*, წვდომა ივნისი 11, 2024.

<https://imednews.ge/ge/ekonomika/29458/dizelis-skandali-volkswagens-25-miliard-evrod-daujda>.

შემთხვევა III. ღია წყაროში არსებული ინფორმაციის თანახმად, 2006 წელს აღმოჩნდა, რომ ფრანგულმა ენერგეტიკულმა კომპანიამ დაიქირავა ჰაკერები „გრინპისის“ კომპიუტერულ სისტემებში შესაღწევად.⁶ მიმართული იყო EDF-ის ბირთვული ენერჯის გაფართოების წინააღმდეგ. აღნიშნული ორგანიზაცია გარემოს დაცვის საკითხების ადვოკატირებას ეწევა. შესაბამისად, განხორციელებულ ქმედებებში იკვეთება დაინტერესებული კომპანიისა და, მაღალი ალბათობით, მზვერავი სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის განხორციელებული სპეცოპერაციის ნიშნები. ამდენად, სახეზეა ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის სადაზვერვო შეღწევადობის შედეგი, ხოლო კიბერთავდასხმა სადაზვერვო ქმედების მნიშვნელოვანი იარაღია.

შემთხვევა IV: ეკოლოგიური დაზვერვის წარმოების მაგალითად შეგვიძლია წარმოვადგინოთ აშშ-ს მიერ 1960-1972 წლებში ჯაშუში-თანამგზავრებით „Corona“ უცხო, მათ შორის „კომუნისტურ სახელმწიფოებში“ (მათ შორის „რუმინეთის კარპატის“) ხელუხლებელი ტყის მასივების შესწავლა ფოტოგადაღებებით. აღნიშნული მასალა საიდუმლო გრიფით 1990 წლამდე ინახებოდა.⁷ შესაბამისად, სახეზეა ეკოლოგიური დაზვერვის წარმოება სამენიერო-ტექნიკურ სექტორებზე შექმნილი ტექნოლოგიით, მზვერავი-თანამგზავრით.

შემთხვევა V: ღია წყაროში არსებული ინფორმაციის თანახმად, ჩინეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოვლინდა ამ სახელმწიფოს ეკოლოგიური უსაფრთხოების საწინააღმდეგოდ გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური და ბიოლოგიური მონაცემების უკანონო (მათ შორის მოპარვით) შეკრება, რაც ეროვნულ უსაფრთხოებას უქმნიდა საფრთხეს. ინფორმაციის შეკრება ხორციელდებოდა კვლევითი პროექტების საფარქვეშ, ხოლო ინფორმაციის შეკრებას ახორციელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები. გამოძიებით დადგინდა, რომ ამ პროცესში ხორციელდებოდა აკადემიური პერსონალის გამოყენებაც.⁸ შესაბამისად, გამოიკვეთა ეკოლოგიური ჯაშუშობის მიმართულებები: გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური, ბიოლოგიური მონაცემების შეკრება და ჯაშუშურ

⁶ Black, Richard. "EDF Fined for Spying on Greenpeace Nuclear Campaign." BBC News, November 11, 2011. <https://www.bbc.com/news/science-environment-15683090>.

⁷ Humboldt-Universität zu Berlin. New Project for Climate-Neutral Agriculture Launched. Humboldt-Universität zu Berlin, March 2024. Accessed June 11, 2024. <https://www.hu-berlin.de/en/press-portal/nachrichten-en/march-2024/nr-24319>.

⁸ "China's First Domestic Large Cruise Ship Begins Commercial Operations." Global Times, May 26, 2024. Accessed June 11, 2024. <https://www.globaltimes.cn/page/202405/1312175.shtml>.

საქმიანობაში სამეცნიერო სეგმენტის თანამშრომლების, არასამთავრობო სექტორის და ფონდების გამოყენების ფაქტები

დასკვნა:

- ☞ ეკოლოგიური დაზვერვის ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული მზვერავი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური დაზვერვის ინტერესებთან. ეკოლოგიური დაზვერვაც ხორციელდება მზვერავი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად;
- ☞ კორპორაციული ჯაშუშობა შესაძლოა მიმდინარეობდეს, როგორც დამუკიდებლად, ისე დაინტერესებული სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურების საფარქვეშ;
- ☞ ეკოლოგიური დაზვერვის ფარგლებში შეგროვებად ინფორმაციებს შესაძლოა წარმოადგენდეს:

- სამიზნე ქვეყანაში ქიმიური, ბიოლოგიური, ან სხვა სახის იარაღის გამოცდა და გავრცელება;
- საშიში ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების სტრატეგიები, ბიოქიმიური კვლევები;
- სტრატეგიული ობიექტების (ნავთობის მილსადენების, ენერგოსისტემების) მოწყვლადობა;
- რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის ან დამარხვის ადგილები;
- ეპიდემიოლოგიური ვითარება, ჯანდაცვის სისტემის მოწყვლადობა;
- ხელუხლებელი ტყის მასივები;
- გეოგრაფიული მონაცემები;
- მეტეოროლოგიური მონაცემები;
- ბიოლოგიური მონაცემები;
- სამიზნე ქვეყნებში პოლიტიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის წევრების განწყობები, კორუმპირებულობა;

- ☞ კორპორაციული და სახელმწიფოს მიერ გახორციელებული ეკოლოგიური დაზვერვის უმნიშვნელოვანეს მეთოდებს განეკუთვნება:

- გადაბირება;
- ინფორმაციის შეკრება;
- ნაკეთობის / ტექნოლოგიის ან მათი პროექტის მოპოვება;
- მოწყვლადი არეების გამოკვეთა;

- საბოტაჟი;
- ტერორისტული აქტი;
- კიბერშეტევა;
- ფოტოდოკუმენტირება;
- პროპაგანდა;
- ჯამშობის პროცესში მეცნიერის, არასამთავრობო ორგანიზაციის, ფონდის საფრქვემ მონაწილეობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "დიზელის სკანდალი." *Imedinews*, წვდომა ივნისი 11, 2024. <https://imedinews.ge/ge/ekonomika/29458/dizelis-skandali-volkswagens-25-miliard-evrod-daujda>.
2. ენდელაძე, თ. საგარეო დაზვერვის ობიექტები. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი, 2007.
3. კუხალაშვილი, დ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საგარეო პოლიტიკაში. თბილისი, 2020.
4. "China's First Domestic Large Cruise Ship Begins Commercial Operations." *Global Times*, May 26, 2024. Accessed June 11, 2024. <https://www.globaltimes.cn/page/202405/1312175.shtml>.
5. Humboldt-Universität zu Berlin. "New Project for Climate-Neutral Agriculture Launched." *Humboldt-Universität zu Berlin*, March 2024. Accessed June 11, 2024. <https://www.hu-berlin.de/en/press-portal/nachrichten-en/march-2024/nr-24319>.
6. Kolodny, Lora. "Tesla Sues Rivian, Claiming It Poached Employees and Stole Trade Secrets." *CNBC*, 2020.